



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო - შემოქმედებით ხელოვნება • დრამის რეჟისურა; • თოჯინების თეატრის რეჟისურა.
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი <b>MASTER OF THEATRE ARTS</b>
პროგრამის მოცულობა ECTS	120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის საერთო საგნები -30 კრედიტი; სპეციალობის ძირითადი მოდულები - 50 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი; არჩევითი კურსები - 10 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა თეატრალური ხელოვნების ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირნი, რომელთაც გავლილი აქვთ minor-პროგრამა თეატრალური მიმართულებით, ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აზარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს: წერითი დავალება - ექსპლიკაცია საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე (0 - 100 ქულა). სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები: წერითი დავალება - ექსპლიკაცია საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე და თეატრის ისტორია - ზეპირი გამოცდა (შეფასება - 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც ექსპლიკაცია 0 - 90 ქულა; თეატრის ისტორია 0 - 10 ქულა).</p>	
<b>შემოქმედებითი ტურის შეფასება: წერითი დავალება - ექსპლიკაცია. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ცალკე შეფასება არ კეთდება</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• წერითი კულტურა და სტილისტიკა;</li> <li>• ლოგიკური და აბსტრაქტული აზროვნების უნარი;</li> <li>• თემის იდეური გახსნა, ზეამოცანა და ახალი იდეების გენერირების უნარი;</li> <li>• იდეისა და შინაარსის ერთიანობა;</li> <li>• სიუჟეტის სტრუქტურული გამართულობა;</li> <li>• სიუჟეტის თემატური აღწერა;</li> <li>• ეპოქა, გარემო, გარემოცვა;</li> <li>• სახეების შექმნა მოცემულ გარემოში;</li> <li>• მოქალაქეობრივი პოზიცია.</li> </ul>	
<b>თეატრის ისტორია 0-10 ქულა - 2 ხუთქულიანი საკითხი. საგამოცდო საკითხები და ლიტერატურა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• თეატრის ისტორია:</li> <li>ანტიკური ხანის თეატრი;</li> <li>შუა საუკუნეების თეატრი;</li> <li>აღორძინების პერიოდის თეატრი;</li> <li>კლასიციზმის ეპოქის თეატრი;</li> <li>განათლების ეპოქის თეატრი;</li> <li>XIX საუკუნის თეატრი მიმართულებების ცვლა (რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი);</li> <li>XX საუკუნის თეატრი ესთეტიკური მიმართულებით;</li> <li>გ. ერისთავის თეატრი;</li> <li>XIX- XX საუკუნეების მიჯნის ქართული თეატრი;</li> <li>XX საუკუნის 20-30იანი წლების ქართული თეატრი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლიტერატურა:</li> <li>ვ. კიკნაძე „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ ტომი პირველი გამცემლობა „საარი“ თბ.2001წ.</li> <li>ვ. კიკნაძე „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ ტომი მეორე გამცემლობა „საარი“ თბ.2001წ.</li> <li>ს. ყაუხჩიშვილი „ანტიკური თეატრის ისტორია“</li> <li>ს. ყაუხჩიშვილი „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“</li> <li>„დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია“ (მაკულსკის რედაქტორობით)</li> <li>გ. ხავთასი „ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან იბსენი „დრამატურგია“</li> <li>მსოფლიო თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი</li> <li>ე. თოფურბიძე „რჩეული ნაშრომები მსოფლიო თეატრის ისტორიაში“</li> </ul>

<p>თანამედროვე ქართული თეატრი.</p> <p><b>შეფასება:</b></p> <p>5 - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს.</p> <p>4 - პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ შეკვეცილია; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს.</p> <p>3 - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>2 - პასუხი არასრულია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად ფლობს მასალას; აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>1 - პასუხი ნაკლოვანია; გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p>0 - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.</p>	<p>მე-20 საუკუნის ფრანგი დრამატურგები და თეატრის თეორეტიკოსები არისტოტელე _ პოეტიკა თბ.. 1944</p> <p>ბრექტი -მცირე ორგანონი თეატრისათვის თბ . 1982 წ.</p> <p>პ.ბრუკი _ ცარიელი სივრცე.თბ 1982 წ.</p> <p>კ. სტანისლავსკი „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ თბილისი „ნაკადული“</p> <p>ჯ. ლ. ბარო „ფიქრები თეატრზე“ თბილისი „ნაკადული“</p> <p>История западноевропейского театра (8-т-ах) М. 1956г.</p> <p>Дживелегов А. и Бояджиев Г. – История западноевропейского театра. От возникновения до 1789г. М-Л. 1941г.</p> <p>Финкенштейн Е. – Картель четырёх (Шарль Дюлен, Луи Жуве, Гастон Бати, Жорж Питоев) Л. 1971г</p> <p>Бояджиев Г. – Вечно прекрасный театр эпохи Возрождения М. 1973г.</p> <p>Фрадкин И. – Бертольд Брехт М. 1965г.</p> <p>Куликова И. – Что такое театр абсурда? М. 1967г.</p>
<p><b>პროგრამის მიზანი</b></p>	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება.</p> <p>დასაქმების ბაზარზე, როგორც ჩვენს რეგიონში, ასევე მთლიანად დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მოთხოვნადია თეატრალური ხელოვნება. წლების მანძილზე ხელოვნების უნივერსიტეტი ამზადებს მიზნობრივ ჯგუფებს. კურსდამთავრებულები სწავლების დასრულების შემდეგ პროფესიული მიმართულებით საქმდებიან როგორც რეგიონის, ასევე დასავლეთ საქართველოში მოქმედ აკადემიურ თეატრებში.</p> <p>ხელოვნების უნივერსიტეტში, რომლის კონტიგენტი ძირითადად დაკომპლექტებულია დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობით, ობიექტურად მოითხოვს „სამემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა თეატრალური ხელოვნების ისეთ დარგში, როგორცაა დრამის რეჟისურა და თოჯინების თეატრის რეჟისურა.</p> <p>რეჟისორი ძველი ტრადიციული პროფესიაა, მიუხედავად ამისა ის მუდამ თანამედროვეა, ვითარდება თეატრთან ერთად და თავად აჩენს თეატრის განვითარებაზე უდიდეს კვალს. რეჟისურა ინტელექტუალური აზროვნებისა და შემოქმედებითი პრაქტიკული მუშაობის პროცესია და მუდმივად სიახლისა და ორიგინალობის ძიებაშია. სამაგისტრო პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს ისეთი პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი, რომელიც თეატრალური ხელოვნების თანამედროვე ფორმების მეშვეობით შექმნის მაღალმხატვრული ღირებულების მქონე პროდუქციას (სპექტაკლი, სანახაობა, პერფორმანსი) და მოახდენს მის შემდგომ რეალიზაციას. რაც შეადგენს სრულ შემოქმედებით-საწარმოო ციკლს: იდეას, ლიტერატურულ-დრამატურგიულ პირველწყარო-პიესას, სარეჟეტიციო პერიოდს, მხატვრულ-ესთეტიურ გადაწყვეტას, სცენოგრაფიას, მუსიკალურ გადაწყვეტას და ა. შ. დაუფლებული ექნება აქტივობას და მისი აღზრდის მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე ექნება უფლება სათავეში ჩაუდგეს თეატრალურ კოლექტივს, სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ მასში მიღწეულია ერთგვარი სინთეზი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარჩვევებს შორის, რადგან დამდგმელი რეჟისორის პროფესიის არსი წარმოადგენს ანალიტიკურ აზროვნებას. ამ პროფესიის ადამიანი კარგად უნდა ხედავდეს მის თვალწინ განვითარებულ მოვლენებსა და სოციალურ პოლიტიკურ პროცესებს. უნდა გრძნობდეს საზოგადოების განწყობას და მის წინაშე მდგარ პრობლემებს. მას უნდა შეეძლოს ამა თუ იმ მოვლენის სიღრმისეული გაანალიზება კონკრეტული საკითხის არსში წვდომა. იმ საჭირობოროტო აქტუალური პრობლემისა თუ სატკივრის დანახვა რომლის თაობაზეც, მის მიერ დადგმული</p>

	<p>სპექტაკლის მეშვეობით შეძლებს მაყურებელთან საუბარს. ასეთ შემთხვევაში მის მიერ შექმნილ სპექტაკლს ექნება აშკარად გამოხატული კონცეპტუალური გადაწყვეტა. დრამის რეჟისურის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე პროცესების შესწავლას. მომავალმა მაგისტრმა თავი უნდა მოსინჯოს თეორიულ ანალიზსა და კვლევაში, თეორიული მასალის გააზრებისა და მისი პრაქტიკული ხორცშესხმის გარეშე პრაქტიკოსი თეატრალური რეჟისორის წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია. თეატრალური ხელოვნების განვითარება და საშემსრულებლო-შემოქმედებითი ტენდეციების სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი კლასის პროფესიონალს, რომელიც მუდმივად ეძებს ახალს. კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ მცნებებს, აქვს კვლევის სწორი ჩვევები, ახდენს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის პრაქტიკაში გამოცდას. სწავლება ძირითადად თეორიული და პრაქტიკული კუსების მონაცვლეობასა და ერთიანობაზეა აგებული.</p>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</li> <li>● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</li> <li>● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.</li> </ul>
<p><b>სამაგისტრო ნაშრომი</b></p>	
<p><b>სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით კომპონენტს, რომელშიც სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს სწავლების მანძილზე მიღებული ცოდნა და შემოქმედებით-პრაქტიკული უნარ-ჩვევები.</b></p>	
<p>ECTS - IV სემესტრი, 30 კრედიტი, 750 საათი. საკონტაქტო 180 საათი აქედან: ჯგუფში მუშაობა - 175 სთ. მიმდინარე შეფასება - 2 სთ. ნაშრომის დაცვა - 3 სთ.</p>	

დამოუკიდებელი 570 სთ -ჯგუფში მუშაობისთვის, მიმდინარე შეფასებისთვის, სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის მზადება.  
 სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი (90 კრედიტი).  
 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და ნაშრომის თემატიკის დამტკიცდება ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

1. მიმდინარე შეფასება - 0-60 ქულა	მაქსიმალური ქულა	შეფასების 10 ქულიანი სისტემა
თემის იდეური გახსნა	10	9-10 ქულა – სრულად არის დაცული კრიტერიუმი; 7-8 ქულა– ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი; 5-6 ქულა – ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი; 3-4 ქულა – კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია; 1-2 ქულა - კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია; 0 - ქულა – არ არის დაცული კრიტერიუმი.
იდეის რეალიზაციის ინოვაციური ფორმები	10	
სპექტაკლის ზემოცანა	10	
სახეების პლასტიური გადაწყვეტა სივრცეში / თოჯინა-პერსონაჟის სტილისტურობა	10	
სახეების ფერები მოცემულ გარემოში / მასალაში შესრულების მანერა	10	
სპექტაკლის ყველა კომპონენტის ერთ მთლიანობად შერწყმის უნარი	10	

**გამოცდა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვა 0- 40 ქულა**

**1. თეორიული ნაწილი 0 – 5 ქულა**

თავფურცელი; შესავალი; ძირითადი ნაწილი; დასკვნა; ლიტერატურა

	ნამუშევრის კომპოზიცია და სტილი	თემის გახსნა	სისტემატიზაციის უნარები	ანალიტიკური უნარები	კრეატიულობა და კომუნიკაცია
5 - ქულა	ავტორის მიერ გამოყენებული ტექსტის კომპოზიცია ხელს უწყობს თემის მიზნების და ამოცანების გახსნას, ადვილუბს მათ აღწერას და კვლევის რეზულტატების გაგებას; სრულად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ნაშრომში თემა სრულად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში ჩანს სისტემური დისციპლინათმორისი მიდგომა და სამუშაო ინფორმაციის სინთეზური გააზრების უნარი	თვალსაჩინოა სისტემური, ანალიტიკური მიდგომა, აზროვნების ლოგიკური თანმიმდევრულობა, სინთეზის უნარი	ნაშრომში ჩანს მაღალი სამეცნიერო კრეატიულობა, კომუნიკაციური მეთოდების დამოუკიდებელი ხედვა
4 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია შეესაბამება თემის მიზნებს და ამოცანებს და კარგად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ნაშრომში თემა კარგად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში ჩანს წყაროების ფართო ბაზის ზუსტი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ჩანს აზროვნების ლოგიკური თანმიმდევრულობა, დამოუკიდებელი კრიტიკული მსჯელობა, ანალიზის უნარი კარგი სინთეზური აზროვნების ფონზე	ნაშრომში ჩანს კრიტიკულ უნარებში გამოხატული დამოუკიდებელი სამეცნიერო აზროვნება, ინდივიდუალური კომუნიკაციური სტილი
3 - ქულა	ტექსტის სტილი და კომპოზიცია შეესაბამება თემის ამოცანებს, დაცულია წერის აკადემიური სტილი და გრამატიკული ნორმები ხელს არ უშლის აზრის სწორად აღქმას	ნაშრომში თემა ძირითადად არის გახსნილი პასუხობს ამოცანას	ნაშრომში ჩანს წყაროების ზოგადი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ჩანს ალგორითმების კარგი გაგება და გამოყენება, მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრულობა	ნაშრომში ზოგადად ჩანს კრიტიკული სამეცნიერო აზროვნება, იკვეთება ცალკეული ელემენტების მიმართ კრეატიული კომუნიკაციის უნარი
2 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია აკმაყოფილებს თემის ძირითად მოთხოვნებს, წერის აკადემიური სტილი ამოცანების არა ადეკვატურია	ნაშრომში თემა ნაწილობრივ არის გახსნილი ამოცანების გადაწყვეტა არ არის დამაკმაყოფილებელი	ჩანს დამაკმაყოფილებლად ვლინდება საინფორმაციო საშუალებებში ორიენტაცია, წყაროების კლასიფიციერების უნარი	ჩანს მოცემული ალგორითმების არა ზუსტი თანმიმდევრობა, საკითხის ვიწრო გააზრება, არალოგიკური მსჯელობა	ნაშრომში ნაწილობრივ ჩანს მეცნიერული კრეატიულობა, კომუნიკაცია არარეფლექსურია
1 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია ხელს არ უწყობს თემის ამოცანების გახსნას, სტილი არაადეკვატურია, გრამატიკული შეცდომები ართულებს ტექსტის გაგებას	ნაშრომში არ ჩანს თემის ირგვლივ წყაროების ცოდნა და ვერ პასუხობს დასახულ ამოცანას	სისტემატიზაციის უნარი უმნიშვნელოა თემის არაადეკვატური გაგების ან წყაროების მინიმალური ცოდნის ფონზე	ჩანს ლოგიკური შეცდომები, თემის შეზღუდული და /ან არაადეკვატური ინტერპრეტაცია	ნაშრომში არ ჩანს სამეცნიერო და კომუნიკაციური კრეატიულობის გამოხატვის პრაქტიკული მოტივაცია

<b>0 - ქულა</b>	ტექსტის კომპოზიცია დასახული მიზნის შეუსაბამოა და დარღვეულია ენის სტილისტური ნორმები	ნაშრომში არ არის გახსნილი თემა და არ ჩანს ამოცანების გადაჭრის გზები	არ აქვს სისტემატიზაციის უნარი, არ იცნობს წყაროებს	არ ჩანს ლოგიკური მსჯელობა და ანალიტიკური უნარები	არ არსებობს კრეატიულობა და კომუნიკაციის უნარი		
<b>2. შემოქმედებითი ნაწილი 0 – 35 ქულა - სადიპლომო ნაშრომი - მინიმუმ ერთაქტიანი პიესა არანაკლებ 30 წთ.</b>							
<b>ქულა</b>	<b>მხატვრული ესთეტიკა</b>	<b>ჟანრობრივი გადაწყვეტა</b>	<b>ყველა კომპონენტის ესთეტიური მთლიანობა</b>	<b>ინდივიდუალიზმი და ორიგინალურობა</b>	<b>მოვლენები და აქტივობა</b>	<b>დასკვნის, შეჯამების უნარი</b>	<b>ენობრივი გამართულობა</b>
<b>31-35</b>	<b>სრულყოფილია</b>						
<b>26-30</b>	<b>სრულყოფილია</b>			<b>კარგია</b>			
<b>21-25</b>	<b>კარგია</b>						<b>შეიმჩნევა ნაკლოვანებები</b>
<b>16-20</b>	<b>კარგია</b>		<b>შეიმჩნევა ნაკლოვანებები</b>			<b>ნაკლოვანია</b>	
<b>11-15</b>	<b>კარგია</b>		<b>შეიმჩნევა ნაკლოვანებები</b>			<b>ნაკლოვანია</b>	
<b>6-10</b>	<b>შეიმჩნევა ნაკლოვანებები</b>		<b>ნაკლოვანია</b>				<b>არ პასუხობს მოთხოვნას</b>
<b>1-5</b>	<b>შეიმჩნევა ნაკლოვანებები</b>		<b>ნაკლოვანია</b>			<b>არ პასუხობს მოთხოვნას</b>	
<b>0</b>	<b>ნამუშევარი სრულიად არაადამაკმაყოფილებელია</b>						
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>		ვლადიმერ ბიბილეიშვილი - პროფესორი, დოქტორი					

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსები	კრედიტები	საათები			კრედიტების განაწილება			
				სულ	საკონტ	დამოუკ	I	II	III	IV
<b>სპეციალობის საერთო კურსები</b>			<b>25</b>	<b>625</b>	<b>150</b>	<b>475</b>	<b>5</b>	<b>15</b>	<b>5</b>	
MAf-1		მეტყველება	5	125	30	95	5			
M4g1		თეატრის მართვა	5	125	30	95		5		
M4g2		დრამის თეორიის ანალიტიკური კურსი	5	125	30	95		5		
MHf-4		გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები	5	125	30	95		5		
MHf-5		კულტურის პროექტების მენეჯმენტი	5	125	30	95			5	
M4g3		სამაგისტრო ნაშრომი (რ)	30	750	180	570				30
<b>სპეციალობის ძირითადი მოდულები</b>										
<b>დრამის რეჟისურა</b>			<b>50</b>	<b>1250</b>	<b>300</b>	<b>950</b>	<b>10</b>	<b>15</b>	<b>25</b>	
M4b1-1		დრამატული თეატრის მსახიობის ოსტატობა	5	125	30	95	5			
M4b1-2-1		დრამის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	5	125	30	95	5			
M4b1-2-2	M4b1-2-1	დრამის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	15	375	90	285		15		
M4b1-2-3	M4b1-2-2	დრამის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	25	625	150	475			25	
<b>თოჯინების თეატრის რეჟისურა</b>			<b>50</b>	<b>1250</b>	<b>300</b>	<b>950</b>	<b>10</b>	<b>15</b>	<b>25</b>	
M4b2-1		თოჯინების თეატრის მსახიობის ოსტატობა	5	125	30	95	5			
M4b2-2-1		თოჯინების თეატრის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	5	125	30	95	5			
M4b2-2-2	M4b2-2-1	თოჯინების თეატრის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	10	250	60	190		10		
M4b2-2-3	M4b2-2-2	თოჯინების თეატრის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება	25	625	150	475			25	
M4b2-3		თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია	5	125	30	95		5		
<b>არჩევითი კურსები</b>			<b>15</b>	<b>375</b>	<b>90</b>	<b>285</b>	<b>15</b>			
<b>სულ</b>			<b>120</b>	<b>3000</b>	<b>720</b>	<b>2280</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>